

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“-ს სხდომის

ოქმი N 4

ქ.თელავი

2016 წლის „25“ ივლისი

თავმჯდომარეობდა : თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“-ს თავმჯდომარე მერაბ თუშიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: მერაბ ხიზანიშვილი, ზაზა ზაზაშვილი

დღის წესრიგი

1.2016 წლის 27 ივლისის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად შემოსული პროექტების  
განხილვა.

მომხს.მ. თუშიშვილი

მოისმინეს: 1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტში 2016 წლის სოფლის  
დახმარების პროგრამით და ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ  
ინფრასტრუქტურულ პროექტებში დასახარჯი თანხების ცვლილებები.


მომხს.მ. თუშიშვილი

აზრი გამოთქვას: მერაბ თუშიშვილი: დღესდღეობით პიორიტეტი გვაქვს სოფლებში წყალმომარაგება  
და ბაგა-ბაღების მოწესრიგება, სტადიონებისთვის 35 ათასის დამატება  
მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ჯერ არ  
განუხილია აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებული ცვლილებები, უკვე  
გამოცხადებულია ტენდერები შეცვლილი ფასებით, რითაც დარღვეულია  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

აზრი გამოთქვას: მერაბ ხიზანიშვილი: ყოვლად მიუღებელია, რაც ხდება სოფლის მხარდაჭერის  
პროგრამაში. გამგეობა თვითნებურად ცვლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით  
გამოყოფილ თანხებს, ხან ამცირებს, ხან ზრდის. არ ითვალისწინებს არც  
წარმომადგენლების, არც დეპუტატების აზრს. აქედან გამომდინარე  
ინფრასტრუქტურულ პროექტებში ხდება ქაოსი, სად რა თანხები მიდის  
გაურკვეველია. პირადად მე წინააღმდეგი ვარ ასეთი პროექტების მიღების. ასევე ხდება  
ბიუჯეტში თანხების განაწილება. ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშს თან  
არ ერთვის შიდა აუდიტის დასკვნა. რაც მიგვითითითებს იმაზე, რომ აუდიტის

სამსახური არ დგას თავის სიმაღლეზე. მე ვეთანხმები მიწის იჯარით გაცემას, მაგრამ იჯარის გადასახადი უნდა გაიზარდოს 10-12%-მდე.

დაადგინეს: 2016 წლის 27 ივლისის საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“ მოითხოვს ინფრასტრუქტურული პროექტების ამოღებას. ბიუჯეტში მოხდეს ცვლილება.

ფრაქცია „ეროვნული ფორუმი“-ს თავმჯდომარე  მ. თუშიშვილი